SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | მაისი | 2021 | №9

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / სპორტი / ქალაქის ამბები / კულტურა

მაია შაოშაძე:

"შახტის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია"

გვ.2

ინფრასტრუქტურის განახლება წარმატებით მიმდინარეობს!

გვ.5

"ტყიბულის კლინიკას" მალე ემერჯენსის განყოფილება ექნება

გვ.8

მწერალი ბესო ხვედელიძე "წიგნის მოყვარულთა კლუბის" წევრებს შეხვდა

ინფრასტრუქტურის განახლება წარმატებით მიმდინარეობს!

კომპანია „საქნახშირში“ ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები უწყვეტად მიმდინარეობს. შახტის საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2020 წლის დეკემბერში, კომპანიამ ჩინეთში 12 კომპლექტი ჯაჭვური კონვეიერი შეიძინა. ახალი აღჭურვილობა საქართველოში მაისის დასაწყისში ჩამოვიდა და მისი მონტაჟი უკვე დაწყებულია.

ზვიად ჭანტურიძე (მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილე):

„კონვეიერების გარდა, კომპანიამ საკაბელო პროდუქცია, შახტის რკინიგზისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, კომპრესორები და მომნგრევი ჩაქუჩები შეიძინა, რომლებიც უკვე შემოვიტანეთ. შემოსულია კონვეიერის სათადარიგო ნაწილებიც, სხვადასხვა ზომის ქანჩები და ჭანჭიკები. მაისის ბოლოს მივიღეთ ჯალამბრები, საგაზო სისტემების სათადარიგო ნაწილები და გამშვები აპარატურა. აღნიშნული აღჭურვილობა უმნიშვნელოვანესია საწარმოს გამართული და შეუფერხებელი მუშაობისთვის.“

მიმდინარე წლის აპრილში, შახტების გამართული მუშაობისთვის და ქვა-ნახშირის მოპოვების გაზრდისთვის, კომპანიამ 3 კომპრესორი „უკვშ“ 10/7 შეიძინა, რომელიც უკრაინიდან ჩამოვიდა. აღნიშნული კომპრესორები გამოყენებული იქნება ახალი ველების მომზადებისთვის, ასევე ჩაანაცვლებენ ნახშირმომპოვებელ უბნებში არსებულ ამორტიზირებულ კომპრესორებს. პირველ რიგში, ამით შემსუბუქდება პერსონალის შრომა და საგრძნობლად გაიზრდება ქვა-ნახშირის მოპოვება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოებისთვის.

გარდა ამისა, კომპანიამ 3000 მეტრი სავენტილიაციო მილი შეიძინა, რომლითაც გვირაბების საჰაერო სისტემა დაკომპლექტდება და უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის იმ ადგილებში მიწოდებას, სადაც სამთო მოპოვებითი სამუშაოები მიმდინარეობს. სავენტილიაციო მილის ეს რაოდენობა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იქნება საკმარისი საშახტე უბნების სუფთა ჰაერით მომარაგებისათვის.”

შეგახსენებთ, რომ შახტების სრული რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმა უკვე ერთი წელია წარმატებით ხორციელდება. აღნიშნული გეგმის ფარგლებში, საგრძნობლად გაიზარდა მეშახტეების ანაზღაურება, გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება კომპანიასა და პროფკავშრებს შორის, უწყვეტად მიმდინარეობს საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება და ინფრასტრუქტურის განახლება.

ახლო მომავალში, „საქნახშირი“ ახალ ელექტრომოწყობილობებს, შიდა საშახტო ტრანსპორტის გამართული მუშაობისთვის საჭირო ელმავლის სათადარიგო ნაწილებს და 400 ახალ თვითმაშველს მიიღებს. გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიხედვით კი დამატებით ახალი ველების მომზადება და წარმოების გაზრდა იგეგმება.

„საქნახშირში“ ტექნიკური საბჭო შეიქმნება

„საქნახშირში“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი მოპოვების მოცულობის განხილვა, საწარმოს წამგებიანობიდან გამოყვანის გეგმაზე მსჯელობა და ტექნიკური საბჭოს შექმნის აუცილებლობის განხილვა იყო.

ტექნიკური საბჭოს შექმნის მიზანს საწარმოს ინვესტიციების მონიტორინგი წარმოადგენს. შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელფასის ეფექტიანობაზე, სხვადასხვა პროფესიების სამუშაო გრაფიკებსა და ახალი ბონუსური სისტემის თემაზე იმუშავებს. უახლოეს დღეებში, დაგეგმილია კონსულტაციები შიდა საშახტო ტრანსპორტის თანამშრომლებთან, ამფეთქებლებთან, მიწისზედა კომპლექსისა და გამამდიდრებელი ფაბრიკის თანამშრომლებთან. თათბირების შედეგად მომავალი ღონისძიებების კალენდარული გრაფიკი შედგება.

სამუშაო შეხვედრები პერმანენტულად გაიმართება და მის მიზანს საწარმოს მართვის პროცესში დასაქმებულების მაქსიმალური ჩართულობა წარმოადგენს.

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

შპს „საქნახშირი“

ბრძანება

№ 1/ო 38 «10» 06 2021 წელი

შპს „საქნახშირის“ გენერალურ დირექტორთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის შინაგანაწესის 45-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეიქმნას „შპს „საქნახშირის“ გენერალურ დირექტორთან არსებული საკონსულტაციო საბჭო“ (შემდგომში – საბჭო).
2. საბჭოს დაკომპლექტების წესი, სტრუქტურა და საქმიანობის პირობები განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელიც მტკიცდება ბრძანების დანართი №1-ით.
3. საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნოს მიხაილ სოცკი.
4. დაევალოს კომპანიის ადმინისტრაციულ აპარატს, ბრძანება გამოაქვეყნოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას (სტენდი).
5. საბჭოს წევრთა არჩევნები ჩატარდეს ბრძანების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში. საბჭოს დაკომპლექტებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში იმართება საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც საბჭოს დებულების შესაბამისად აირჩევიან გამგეობის წევრები, ყალიბდება კომიტეტები და აირჩევიან მისი თავმჯდომარეები.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შპს „საქნახშირის“ გენერალური დირექტორი –
შპს „კოალ გეორჯიის“ დირექტორი –
ზურაბ აღდგომელაშვილი

ზურაბ ბოჭორიშვილი - 57 წელი სამთო სფეროში

სამთო-მოპოვებითი სამუშაოების წარმოება მარქშეიდერის გარეშე შეუძლებელია. ამ იშვიათი პროფესიის ადამიანები საქართველოში არც ისე ბევრნი არიან. რამდენიმე „საქნახშირშია“ დასაქმებული. ზურაბ ბოჭორიშვილი ერთ-ერთი მათგანია. ის უკვე 57 წელია სამთო სფეროში საქმიანობს.

ბატონმა ზურაბმა შახტში მუშაობა 18 წლის ასაკში დაიწყო და დღემდე წარმატებით ემსახურება ამ სფეროს, ის „საქნახშირის“ მთავარი მარქშეიდერია.

1946 წლის 16 აპრილს, ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში დაიბადა, 1964 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის ფილიალში ჩააბარა. პარალელურად, მაშინდელი „ლენინის“ სახელობის შახტის მოძრაობის უბანში მუშაობდა. რამდენიმე წლის შემდეგ სამსახურიდან ლიმიტით თბილისში, ტექნიკურ უნივერსიტეტში გაუშვეს სასწავლებლად. უნივერსიტეტი 1971 წელს, მარქშეიდერის კვალიფიკაციით წარმატებით დაასრულა, რის შემდეგაც ახალგაზრდა მარქშეიდერი მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და მუშაობა „ლენინის“ სახელობის შახტის მზადების უბანში, ცვლის უფროსად დაიწყო. ამის შემდეგ, 1 წელი მზადების უბანში უბნის უფროსის მოადგილე იყო და რამდენიმე წელი ამავე შახტის სამარქშეიდერო განყოფილებაში, უბნის მარქშეიდერადაც მუშაობდა. ახალგზარდა, პერსპექტიული და პროფესიონალი თანამშრომელი 1975 წლის სექტემბერში დააწინაურეს და მაშინდელი „სტალინის“ სახელობის შახტის მთვარი მარქშეიდერი გახდა (სადაც 22 წელი იმუშავა). 1997 წელს „მინდელის“ სახელობის შახტზე, მთავარ მარქშეიდერად გადაიყვანეს და დღემდე ამ პოზიციაზე მუშაობს. 2005 წელს ბატონი ზურაბი ბათუმში, მახინჯაურის გვირაბის სამშნებლო სამუშაოებზეც მუშაობდა მარქშეიდერად.



ზურაბ ბოჭორიშვილი სამთოელის ოჯახიდანაა. მამა, სავლე ბოჭორიშვილი 1939 წელს ტყიბულის შახტში მუშაობდა. მას ხუთი შვილი ჰყავდა და წლების მანძილზე ისინიც შახტში, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობზე მუშაობდნენ. ძმებიდან შახტში დღეს მხოლოდ ბატონი ზურაბი მუშაობს.

რაც შეეხება მის ოჯახს, მეუღლე ლალი ბუიძე ტყიბულის მეოთხე საჯარო სკოლის მასწავლებელია. ორი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავთ. ბატონი ზურაბის ვაჟი, მალხაზ ბოჭორიშვილი ოჯახის ტრადიციას აგრძელებს და 2007 წლიდან „საქნახშირში“ მარქშეიდერის პოზიციაზე მუშაობს.

75 წლის ასაკში, ბატონი ზურაბი დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით აგრძელებს პროფესიულ საქმინობას და გარდა ამისა, თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ის ერთადერთი ღვაწლმოსილი მარქშეიდერია „საქნახშირში“, რომლის დამსახურებაც დიდია როგორც კომპანიის, ასევე ქვეყნის წინაშე.

მაია შაოშაძე: “შახტის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია“

სამთო სფეროში დასაქმებული ქალები იშვიათობაა, რადგანაც ეს დარგი მძიმე მრეწველობას მიეკუთვნება და წესით, ქალისთვის მეშახტეობა არც ისე იოლია. თუმცა, ტყიბულის შახტში მუშაობენ ქალები, ვისთვისაც ეს სირთულეს სულაც არ წარმოადგენს. მეტიც, ისინი ამაყობენ საკუთარი პროფესიით და საქმეს სიყვარულით აკეთებენ. უმეტეს შემთხვევაში მათი ოჯახის წევრებიც (მეუღლე, შვილები) შახტში არიან დასაქმებულები.

„საქნახშირის“ თანამშრომელი ქალბატონებიდან მაია შაოშაძე ერთადერთი ქალია რომელიც შახტში 350 მეტრის სიღრმეზე ჩადის. 39 წელია შახტში მუშაობს და აქედან 19 წელი მიწისქვეშ მუშაობის პირველი კატეგორიის სტაჟი აქვს. იგი სამთო სამუშაოების აღრიცხვისა და ბაზების კონტროლის სპეციალისტია.

მაია შაოშაზე ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში, 1959 წლის 9 სექტემერს დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის ფილიალში, სამთო ფაკულტეტზე გააგრძელა (მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია).

სწავლის პარალელურად, მუშაობა ტყიბულის შახტში დაიწყო. თავდაპირველად მაშინდელი „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტზე, გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ფუჭი ქანის მრჩევლად მუშაობდა. 1981 წლის ნოემბერში კი მაშინდელი „ლენინის“ სახელობის შახტზე გადავიდა, სამარქშეიდერო-გეოლოგიურ განყოფილებაში, მიწისქვეშა სამთო მუშად.

მაია შაოშაძე: „მაშინ 22 წლის ვიყავი, ჩავიცვი სპეცები და წავედი შახტში, მიწის ქვეშ სამუშაოდ. შიშის გრძნობა საერთოდ არ მქონდა, არც მაშინ და არც ახლა. დღემდე მიწევს ჩასვლა ლავში, გამკვეთში, ბილიკში... ეს ყველაზე რთული ჩასასვლელია. შევეჩვიე სამთო დარგს და დღემდე სიყვარულით ვასრულებ ჩემს პროფესიულ მოვალეობას.“

ქალბატონმა მაიამ უმაღლესი სასწავლებელი 1983 წელს, სამთო იჟინრის კვალიფიკაციით დაამთავრა. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მაშინდელი „ლენინის“ სახელობის შახტზე უსაფრთხოების ინჟინრად დაინიშნა და 25 წლის ასაკში საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მოუწია მუშაობა, რომელსაც რამდენიმე წელი წარმატებით ხელმძღვანელობდა. 1988 წელს სამუშაოდ სანორმადარო სამსახურში, უბნის ნორმადარად და განყოფილების უფროსად გადავიდა. 1998 წელს შახტების ცენტრალიზება მოხდა. 2013 წლიდან დღემდე კი „მინდელის“ სახელობის შახტზე, ხარისხის კონტროლის სამსახურის, სამთო სამუშაოების აღრიცხვის და ბაზების კონტროლის სპეციალისტად მუშაობს.

მაია შაოშაძემ მომავალი მეუღლე, ავთანდილ ჭანტურიძე შახტში მუშაობის დაწყებისას გაიცნო, რომელიც იმავე შახტზე გეოლოგიურ სამარქშეიდერო სამსახურში მუშაობდა. ბატონი ავთანდილი განყოფილების უფროსი, მთვარი მარქშეიდერი იყო. მათ მალევე იქორწინეს. ჰყავთ ორი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი. ბატონი ავთო სამარქშეიდერო საქმიანობას დღემდე ერთ-ერთ კერძო კომპანიაში აგრძელებს. ქალბატონი მაიას ძმაც მეშახტე იყო და 15 წელი ინჟინრად მუშაობდა.

მაია შაოშაძე დღემდე შემართებით აგრძელებს შახტში საქმიანობას და აქ დასაქმებულებს მოუწოდებს, რომ ჩავიდნენ შახტში და მიწისქვეშა სამუშაოები ნახონ.

„პირველად რომ შახტში ჩავედი, არც მე ვიცოდი რამხელა სიმძიმე ადევს შახტას თავზე, რამდენად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწეოდნენ მეშახტეები მიწის ქვეშ. არც ჩემმა მშობლებმა იცოდნენ რა რთულ ადგილას მივდიოდი სამუშაოდ, თორემ, ალბათ, გაუჭირდებოდათ ამასთან შეგუება. მე ისე შევეჩვიე შახტას, რომ ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. შახტა არის ჩემი მეორე დიდი ოჯახი, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს. ყველა მეშახტე და მშრომელი ადამიანი მიყვარს და ვაფასებ მათ შრომას.

თვეში რამდენჯერმე მიწევს მიწისქვეშა უბნებში ჩასვლა, ვაკვირდები სამთო სამუშაოებს. ოჯახის წევრებს არასოდეს ჰქონიათ იმის სურვილი, რომ არ წავსულიყავი შახტში. შეჩვეულები არაინ უკვე. ავთომ (მეუღლემ) ყოველთვის იცის, რომელ ველებში ვარ წასული.

ვინც ჩვენთანაა დასაქმებული ვურჩევ, რომ ერთხელ ჩავიდეს შახტში, ნახოს რა ხდება მიწის ქვეშ, როგორ შრომობენ მეშახტეები, ჩაისუნთქონ ნახშირის მტვერი და შეიგრძნონ ის სპეციფიური სუნი, რაც სამთო გამონამუშევრებშია.

მადლობელი ვარ კომპანიის, რომ დღემდე წარმატებით მუშობს შახტა, რაც, პირველ რიგში, ქალაქისთვის, თითოეული ტყიბულელის ოჯახისთვის და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნივნელოვანია. რომ არა ეს შახტა, ტყიბულს არსებობა გაუჭირდებოდა. მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას ყურადღებისთვის და მეშახტის დაფასებისთვის.“

„საქნახშირმა“ ტყიბულის თეატრში კიდევ ერთი პანდუსი დაამონტაჟა

„საქნახშირის“ ინიციატივით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ფოიეში კიდევ ერთი პანდუსი დამონტაჟდა. პანდუსების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საქმიანობისთვის, მათი გადაადგილებისთვის, საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის.

გიორგი ბოჭორიშვილი: “დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „საქნახშირს“ პანდუსის გაკეთებისთვის. ეს დამეხმარება, რომ ჩემი შესაძლებლობები მოვახმარო ქალაქს და საკუთარი წვლილი შევიტანო ტყიბულის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.”

“საქნახშირმა” ბენეფიციარ ოჯახებს შეშა დაურიგა

სოციალური პროექტის ფარგლებში, „საქნახშირმა“ ბენეფიციარ ოჯახებს (მათ შორის მეშახტეებს) შეშა დაურიგა. ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია კომპანიას ტყიბულის სოციალურმა სამსახურმა მიაწოდა. პრიორიტეტის მიხედვით ის 5 ოჯახი შეირჩა, რომელსაც დახმარება ესაჭიროებოდა. პირველ ეტაპზე შერჩეულ ოჯახებს კომპანიამ შეშა სატვირთო მანქანებით სახლში მიუტანა.

ბენეფიციარების შერჩევა და მათთვის აღნიშნული დახმარების გაწევა ეტაპობრივად გაგრძელდება.

უფასო სასადილო და სამრეცხაო - სოციალური პროგრამები ტყიბულში

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეთა დახმარების მიზნით, 15 სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომელთა ბიუჯეტი 501 100 ლარს შეადგენს. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია სოციალური სერვისები: უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო, რომელიც სოციალურად დაუცველ მოხუცებს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ემსახურება. პროგრამაში ჩართულია 109 ბენეფიციარი, მათთვის ყოველდღიურად მზადდება სადილი და მოქმედებს შინ მიტანის სერვისი. ვისაც გადაადგილება უჭირს, სადილი სახლში მიეწოდება.

სასადილოში ყოველწლიურად იცვლება მენიუ, უმჯობესდება კვების რაციონი, ასევე გათვალისწინებულია საადგომო და საახალწლო საჩუქრები. კვების რაციონში გამოყენებულია ყველა ის ძირითადი პროდუქტი, რომელიც აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის: ბოსტნეული, ახალი ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები.

ბენეფიციარები სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობენ. სასდილოში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და საკვები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად გაიცემა.

ტყიბულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განხორციელდა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ და მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები გელათის ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ და მშენებლებისგან პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიიღეს.

ფასადების რეაბილიტაციას, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 962 806 ლარით აფინანსებს, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწესრიგება რუსთაველის, ახობაძისა და გელათის ქუჩებზე.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,თ.ბ-კაპიტალი” აწარმოებს.

აღსანიშნია, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები” ფარგლებში, ტყიბულში ასევე იგეგმება კოსტავასა და გამსახურდიას ქუჩების ურბანული განვითარება.

ხელისუფლების წარმომადგენლები საბავშვო ბაღებშიც იმყოფებოდნენ. მათ ახალი მე-4 საბავშვო ბაღი დაათვალიერეს, რომელის მშენებლობისთვის მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 739 200 ლარი დაიხარჯა.

50 ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობაც, გარე ფასადის შეღებვა, გათბობის სისტემის მონტაჟი და შიდა სივრცის რემონტი.

მონიტორინგის ფარგლებში, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალაქის განახლებული N2 და სოფელ გელათის საბავშვო ბაღებიც მოინახულეს.

„საქნახშირი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თენგო ვარდოსანიძის გარდაცვალების გამო

33 წლის თენგო ვარდოსანიძე “საქნახშირის“ ავტო-სატრანსპორტო განყოფილებაში, ექსკავატორის მემანქანედ მუშაობდა. იგი მოულოდნელად, თრომბით გარდაიცვალა.

ვუსამძიმრებთ მის ახლობლებს და ოჯახის წევრებს.

ევექსის კლინიკების „ტყიბულის კლინიკას“ მალე თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ემერჯენსის განყოფილება ექნება!

ტყიბულის კლინიკა უკვე წლებია ტყიბულის მაცხოვრებლებს ერთგულად ემსახურება. ბოლო წლების განმავლობაში ის სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ სახელით ფუნქციობს და ახალი სადაზღვეო პაკეტის ფარგლებში (აპრილიდან) „საქნახშირის“ თანამშრომლებსაც ემსახურება. კლინიკა თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი და კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. თანამშრომლების გადამზადება და მათი ცოდნის გაღრმავება განუწყვეტლივ მიმდინარეობს. სულ მალე კი კლინიკას სრულიად ახალი მიმღები (ემერჯენსის) განყოფილება ექნება. დეტალებზე ტყიბულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მენეჯერი და ტყიბულის ჰოსპიტალის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი, მაგდა კობახიძე გვესაუბრა:

მაგდა კობახიძე: ტყიბულის “ევექსის” კლინიკა მეორე დონის კლინიკაა, შესაბამისად, მეორე დონის კლინიკის მომსახურების გაწევა გვევალება. ტარდება შესაბამისი საბაზისო კვლევები და სამედიცინო მომსახურება. პრობლემა, რაც ამჟამად დგას, სამედიცინო კადრის დეფიციტია. ინფრასტრუქტურა არსებობს და საჭიროა ამ ინფრასტრუქტურის ამოქმედება. კორპორაცია ცდილობს მოიძიოს კადრი, თუნდაც ხელშეკრულებით სხვა ქალაქიდან, რათა პაციენტს მომსახურების მხრივ პრობლემა არ შეექმნას.

რა მომსახურებების მიღება შეიძლება თქვენს კლინიკაში?

პოლიკნიკაში, ამბულატორიულ ნაწილში 5 ოჯახის ექიმი გვყავს. აქედან 3 შინაგანი მედიცინის სპეციალისტია (ისინი მოზრდილებს ემსახურებია) და 2 პედიატრი, ოჯახის მედდები. ოჯახის ექიმები ცდილობენ პაციენტებს გაუწიონ ის მომსახურება, რაც მათი კომპეტენციის ფარგლებშია.

საყოველთაო დაზღვევისა და კორპორატიული დაზღვევის პაკეტების ფარგლებში ყველა იღებს შესაბამის მომსახურებას. თუ რომელიმე მომსახურების გაწევა ვერ ხერხდება (მაგალითად, ქალაქს არ ჰყავს ბავშვთა ნევროლოგი) და ზოგიერთი სერვისი ყოველდღიურად ვერ იფარება, ამ შემთხვევაში გაიცემა მიმართა და პაციენტებს ქუთაისის კლინიკებში ვამისამართებთ. ჩვენთან, 24 საათიანი რეჟიმში, გამართულად მუშაობს ლაბორატორია. დასვენების დღეებში, გადაუდებელი შემთხვევების დროს, სპეციალისტების გამოძახება და კვლევების ჩატარება ხდება ბინიდან გამოძახებით.

რა მიმართულებებზეა ყველაზე მეტი მომართვიანობა?

დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს ქირურგიას, კარდიოლოგიას, ოჯახის ექიმებს. გვყავს ძალიან კარგი, მაღალი დონის ქირურგი, მერაბ ჭელიშვილი. მას იცნობს და პატივს სცემს მთელი რაიონი. მეორე დონის ქირურგიის ფარგლებში ის ახალგაზრდა ქირურგებთან ერთად ატარებს იმ სახის ოპერაციულ ჩარევას და მომსახურეობას, რისი ვალდებულებაც გააჩნია კლინიკას. კეთდება ისეთი ოპერაციები, რომლებსაც რთული რეანიმაციული ჩარევა არ სჭირდება: თიაქარკვეთა, აპენდექტომია, ქოლეცისტექტომია, ულცერორაფია (პერფორირებული წყლულის გაკერვა) და ა.შ. ასევე გვაქვს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება. შეგვიძლია მშობიარეების მიღება და საკეისრო კვეთის ჩატარება ჩვენების მიხედვით. ჩვენთან გამოგზავნილია მაღალი დონის ექიმი-გინეკოლოგი დავით ხვედელიძე, რომელიც ძალიან კარგად ფლობს ამ ტექნიკას. დიდი მომართვიანობა არ არის, რადგან გართულებების რისკების გათვალისწინებით შეზღუდვები გვაქვს. მაგალითად, განმეორებითი საკეისრო კვეთა, მაღალი რისკის ორსულობა ან რაიმე სხვა რისკი, რომელიც გამყარებულია დღეს არსებული რეგულაციებით. ასეთი პაციენტების მიღება შეგვიძლია მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით გადაუდებელ შემთხვევებში. სხვა შემთხვევაში მაღალი რისკის პაციენტების მომართვიანობის დროს ხდება მათი რეფერირება უფრო მაღალი, მესამე დონის სამშობიაროში.

საკეისრო კვეთის გარდა, ბატონი დავითი გინეკოლოგიურ ოპერაციებსაც აკეთებს. ამ მომენტშიც გვყავს პაციენტი, რომელსაც საკვერცხის შემოგრეხილი კისტის გახეთქვის გამო გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ფუნქციობს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაც, სადაც მძიმე ან კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი ყოვნდება. გვაქვს ხელოვნური სუნთქვის აპარატი და საჭიროების შემთხვევაში ხდება კრიტიკული პაციენტის გადაყვანა მართვით სუნთქვაზე, ხელოვნურ ვენტილაციაზე, რის შემდეგაც ვიძახებთ კატასტროფის ბრიგადას და პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ხდება უფრო მაღალი დონის კლინიკაში.

გვაქვს პედიატრიული, ქირურგიული და თერაპიული პალატები, ცალკე გვაქვს სამშობიარო განყოფილება. ვემსახურებით გადაუდებელ პედიატრიასაც, სადაც დასაქმებულია ორი პედიატრი. ისინი მაღალი პასუხისმგებლობით და კომპეტენციით ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ზოგჯერ დიდი ნერვიულობის და რისკის ფასადაც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა თანამშრომელს მადლობა გადავუხადო ყოველი გათენებული ღამისთვის.

რა ინტენსივობით ხდება პერსონალის გადამზადება?

ექიმების ცოდნისა და კვალიფიკაციის გადახალისება ინტენსიურად მიმდინარეობს, უკვე ონლაინ რეჟიმშიც. როგორც კი ჩვენთან „ევექსი“ შემოვიდა, ყველა ექთანი გადამზადდა, ჩააბარეს გამოცდები და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მიეცათ მუშაობის უფლება. ამჟამად 75 თანამშორმელი გვყავს.

ტყიბულის სასწრაფო სამედიცინო სამსახურზეც მოგვიყევით.

ჩვენი სამსახურის სრულყოფილი სახელწოდებაა: საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. გვყავს სამი ბრიგადა, ორი ბრიგადა განთავსებულია ტყიბულში, ემსახურება ტყიბულს და მის ახლომდებარე სოფლებს. ერთი ლოკაცია გვაქვს სოფელ ორპირში და ემსახურება მასთან ახლოს მდებარე 5 თემის 24 სოფელს. სულ დასაქმებულია 34 თანამშრომელი. ზოგიერთი მათგანი პარალელურად მუშაობს კლინიკაშიც და ასე ვავსებთ კადრების დეფიციტს. რადგან ჩვენს კლინკაში ყველა

სერვისი არ იფარება, შესაბამისად, ანაზღაურებაც შედარებით დაბალია, რაც ასევე წარმოადგენს კადრების დეფიციტის ერთ-ერთ მიზეზს. ვისაც შრომა არ ეზარება და შეუძლია დიდი დატვირთვაც აიღოს, დიდ ქალაქში რჩება. თუმცა, ვისაც სურვილი აქვს ჩვენს ქალაქში დაბრუნდეს და დასაქმდეს, მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ამის პირობა შევუქმნათ.

სტაჟიორები არ გვყავს, რადგან უმცროსი ექიმის საშტატო ერთეული უფრო მაღალი დონის კლინიკებს აქვთ, თუმცა, არდადეგების პერიოდში, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები მოდიან და გარკვეული სახის გამოცდილებას იღებენ. კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ახალგაზრდები განათლებას მიიღებენ და ტყიბულში დაბრუნდებიან. მეც უკვე 16 წელია რაც ტყიბულში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

ამჟამად ვინ ხელმძღვანელობს ტყიბულის კლინიკას?

ჩვენი კლინიკის ხელმძღვანელია ბატონი იური ელიაშვილი. ჩვენს რაიონში მე არ ვიცნობ ადამიანს, ვისაც ბატონი იურის მსგავსი მენეჯერული გამოცდილება გააჩნია. გადმოცემით ვიცი, რომ 21 წლის იყო როდესაც ყიბულში ჩამოვიდა და მას შემდეგ ასეთი შემართებით მუშაობს. წლების წინ, ტყიბულში 5-6 კლინიკა იყო და ბატონი იური ამ კლინიკების გაერთიანების ხელმძღვანელი იყო. გაერთიანებაში მაშინ სოფლის ამბულატორიებიც შედიოდა. “ევექსის” კლინიკას 2015 წლიდან ხელმძღვანელობს. ასაკის მიუხედავად, დღემდე თავდაუზოგავად შრომობს. ძალიან განიცდის თუ 2-3 დღე ვერ მოდის სამსახურში. ახლაც, როდესაც ჯანმრთელობის გამო შრომისუუნარობის ფურცელზე იმყოფება, კლინიკაში საყოველთაო ვაქცინაციის პროცესი მიმდინარეობს და ყოველ წუთს მეხმიანება, რომ რაიმე პრობლება არ შეიქმნას, უკმაყოფილო არავინ დარჩეს. მაქსიმალურად ცდილობს სამუშაო სივრცეში ყველას კომფორტი შეუქმნას. თუ ვინმეს მისი დახმარება სჭირდება, შუაღამითაც ვაწუხებთ და შეუძლია ფეხით მოვიდეს, გვერდით დაგვიდგეს. განათლება ქირურგიული მიმართულებით აქვს მიღებული. თავის დროზე პროქტოლოგიურ საქმიანობას ეწეოდა, თუმცა ახლა პრაქტიკულ საქმიანობას აღარ ეწევა და თავისი მენეჯერული გამოცდილებით ასრულებს როგორც კლინიკურ, ისე ადმინისტრაციულ საქმიანობას.
გარდა ამისა, გვყავს ღვაწლმოსილი ექიმები და მედდები, რომლებიც უკვე ძალიან დიდი ხანია მოღვაწეობენ ტყიბულში. მათ დიდი ავტორიტეტი და ცნობადობა აქვთ. ყველაფრის მიუხედავად, ისინი ტყიბულში დარჩნენ და ხალხს დღემდე ემსახურებიან. ჩვენ 24 საათის განმავლობაში ხაზზე ვართ, არავის ტელეფონი არ ირთვება და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, მზად ვართ მოვემსახუროთ რაიონის მაცხოვრებლებს. ძალიან დიდია საშუალო და უმცროსი მედპერსონალის როლი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაში, რადგან სწორედ ისინი უწევენ 24 საათიან მონიტორინგს ყველა პაციენტს, რაც, დამეთანხმებით, ძალიან დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს.

როგორ მიმდინარეობს პანდემიასთან ბრძოლა და რა როლი აქვს ამ საქმეში ტყიბულის “ევექსის” კლინიკას?

პანდემია სრული დატვირთვით იგრძნობა იმერეთში და განსაკუთრებით ტყიბულში. ინფიცირებულების რაოდენობა მომატებულია. ამბულატორია პირველი რგოლია და ვირუსის დადასტურების, ყველანაირი ჩივილის, მდგომარეობის განსაზღვრის, რეკომენდაციების მიცემის თვალსაზრისით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. როცა პაციენტი 112-ში რეკავს, მას შემდეგ ონლაინ ექიმი უკავშირდება და მისი სიმძიმის ხარისხს წყვეტს. თუ პაციენტი სარეანიმაციოა, მისი ჰოსპიტალიზაცია ხდება ტყიბულის კლინიკაში და ამის შემდეგ რეფერალდება სპეციალიზებულ საავადმყოფოში. შეიძლება პაციენტს აპარატული მხარდაჭერა დასჭრდეს და ამიტომ მნიშნელოვანია ასეთი პაციენტის ტრანსპორტირება უახლოეს კლინიკაში. თუ ავადმყოფი ჟანგბადის მიწოდების გარდა სხვა დამატებით რთულ ინსტრუმენტულ ჩარევას არ საჭიროებს, გარკვეული პარამეტრების და კრიტერიუმების შეფასების შემდეგ, მის ჰოსპიტალიზაციას კოვიდკლინიკაში სასწრაფო სამედიცინნო სამსახური ახდენს.

ჩვენს სამედიცინო პერსონალს ყველა ის აღჭურვილობა გააჩნია, რაც საჭიროა თავის დაცვისთვის და ზუსტად ისეთივეა, რაც ამერიკასა და ევროპაში. მომარაგება უპრობლემოდ, ერთი ზარის განხორციელებისთანავე ხდება. შესაბამისად, ყველა რგოლი გამართულად და გუნდურად მუშაობს და პაციენტებიც დაუბრკოლებლად იღებენ საჭირო მომსახურებას, რაც სასწრაფოდან და ამბულატორიიდან სჭირდებათ. დაბრკოლება იყო ნოემბერ-დეკემბერში, როცა ქვეყანაში ინფიცირების პიკური მაჩვენებელი იყო - სტაციონარები ყველგან გადაივსო, პროცესს მართავდა ჯანდაცვის სამინისტრო, რომელიც მაშინვე გვიკავშირდებოდა, როგორც კი სადმე თავისუფალი ადგილი გაჩნდებოდა და სიმძიმის მიხედვით ვახდენდით პაციენტის გადაგვეყვანას კოვიდკლინიკებში. თუ პაციენტი უადგილობის გამო 2-3 დღე ყოვნდებოდა ჩვენთან, ჩვენი ექიმები აგრძელებდნენ მის მკურნალობას და მეთვალყურეობას, რომ ინფიცირებული ავადმყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ დამძიმებულიყო. ძალიან რთული პერიოდი გადაიტანა თითოეულმა თანამშრომელმა, სანიტრიდან მენეჯერამდე და შეუძლებელია ამის გამო ქედი არ მოვიხაროთ მათ წინშე, პატივისცემა არ გამოვხატოთ. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი სამუშაო პროცესში დაინფიცირდა. მიუხედავად ამისა, არავის უთქვამს უარი საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე.ზოგიერთმა ინფიცირებულმა მედპერსონალმა საკმაოდ მძიმედაც გადაიტანა კორონავირუსული დაავადება, მაგრამ ისევ დაუბრუნდა თავის სამუშაო ადგილს და აგრძელებს მუშაობას.

რაც შახტა ამუშავდა, ხალხი ტყიბულში დაბრუნდა. მეშახტეებიც ხშირად მოგვმართავენ. ჩვენი პერსონალი თავის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს არ იშურებს და სანიტრიდან დაწყებული, ბატონი იურით დამთავრებული, ყველა ვცდილობთ, რომ პაციენტებს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ, მივაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული სერვისები.

რა სიახლეებია ტყიბულის “ევექსის” კლინიკაში?

ახლა ჩვენთან ემერჯენსი ყალიბდება. რემონტი სავარაუდოდ 1 თვეში დასრულდება. სპეციალური საჭირო აპარატურის ნუსხა გვაქვს და ამჟამად ხდება შეფასება - რა გვაქვს, რას სჭირდება შეკეთება ან რა არის შესაძენი. ემერჯენსისთვის სპეციალურად გადამზადებულ ექიმს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა გადაუდებელი სიტუაციის მართვა დაევალება. საჭირო აღარ იქნება ყველა სპეციალისტის 24 საათის განმავლობაში ადგილზე ყოფნა.

ემერჯენსის არსებობაზე საუბარი ამ კლინიკის გახსნის დღიდან იყო, უბრალოდ, ადრე იმ რაოდენობის კადრი არ იყო გადამზადებული რომ პერიფერიაზე გადაენაწილებინათ. დიდი ქალაქები უკვე დაკომპლექტებულია საჭირო კადრებით და ახლა რაიონების მცირე კლინიკებიც დაკომპლექტდება.

„საქნახშირში“ ჭადრაკის ჩემპიონატი გაიმართა

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ როგორც მეშახტეები, ისე მათი ოჯახის წევრები. პირველი ადგილის მფლობელი ერთ-ერთი მეშახტის მეუღლე, ქალბატონი ხათუნა ბრეგაძე გახდა. მეორე ადგილზე კახაბერ ხორხომელიძე გავიდა, ხოლო მესამე ადგილი კი გიორგი მიგინეიშვილმა დაიკავა. გამარჯვებულებს კომპანიამ ფულადი პრიზები გადასცა.

შეჯიბრში ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ბავშვებს შორის პირველი ადგილი გივი კახიძემ დაიკავა. მეორე და მესამე ადგილზე თამაზ ხორხომელიძე და ნიკოლოზ გამთენაძე გავიდნენ.

ჩემპიონატში მონაწილე ყველა ბავშვს კომპანიისგან ფულადი ჯილდო გადაეცა. „საქნახშირი“ ულოცავს გამარჯვებულებს და მადლობას უხდის ჩემპიონატის თითოეულ მონაწილეს.

ტყიბულის ხელბურთელ გოგონათა გუნდი საქართველოს ჩემპიონია

2006-2007 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის გამართულ ჩემპიონატზე, ტყიბულელ გოგონათა გუნდმა გაიმარჯვა. მათ მთელი ჩემპიონატი დამაჯერებლად ჩაატარეს, ფინალურ შეხვედრაში კი ფოთის გამოცდილ გუნდს დაუპირისპირდნენ. ფოთელები არაერთ ტიტულს ითვლიან და ამჯერადაც ფავორიტად მიიჩნეოდნენ. ძალიან დაძაბულ და უაღრესად საინტერესო შეხვედრაში ტყიბულმა ერთი ბურთით გაიმარჯვა, ანგარიშით 25:24.

ჩემპიონები თასით და ოქროს მედლებით საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვახტან მეიფარიანმა დააჯილდოვა. გუნდს როინ მდივანი და თენგიზ გვენეტაძე წვრთნიან.

ტყიბულში ხელბურთი 1960-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს, 1968 წელს ვაჟთა გუნდმა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, ქალთა გუნდი კი ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა და მათი წარმატებები 1980 წლიდან დაიწყო. 1986 წელს ტყიბულში გამართულ ზონალურ პირველობაზეც წარმატებით იასპარეზეს და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ჩვიდმეტწლამდელი ხელბურთელი გოგონების წარმატება

ტყიბულის ჩვიდმეტწლამდელ გოგონათა გუნდი საქართველოს ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონია. ქალაქში დაბრუნებულ სპორტსმენებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დახვდნენ. სპორტული ცენტრის ხელბურთელ გოგონათა გუნდს, ეს მნიშვნელოვანი წარმატება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ მიულოცეს.

საქართველოს ჩემპიონატში ტყიბულის გუნდმა თბილისის “პეგასი” და თბილისის “მამული” დაამარცხა, ხოლო ფინალური შეხვედრა ყვარელის გუნდთან დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 34 : 40 დათმო და მეორე ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ორი კვირის წინ, ტყიბულელთა ტრიუმფით დასრულდა 15-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა შორის საქრთველოს ჩემპიონტიც, სადაც ჩვენი სპორტსმენები ოქროს მედლებს დაეუფლნენ.

ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ორივე გუნდი წახალისდება, მათ მუნიციპალიტეტისგან ფულადი საჩუქრები გადაეცემათ.

ივლისში, “საქნახშირის” ორგანიზებით, ესტაფეტა და ნარდის ჩემპიონატი გაიმართება!

მონაწილეობის მსურველებმა უბნის უფროსებს/ხელმძღვანელებს უნდა მიმართონ.

*რეგისტრაცია **20 ივნისს** დასრულდება.*

შეჯიბრებებში გამარჯვებულები ფულად ჯილდოს მიიღებენ.

წარმატებას გისურვებთ!

წიგნის მოყვარულთა კლუბი

გაიცანით ჩვენი ახალი წევრები!

საყვარელი წიგნი: ჯეიმს ჰედლი ჩეიზის „ქვის ჯუნგლი“

„ქვის ჯუნგლი“ არის დეტექტიური ჟანრის ნაწარმოები, სადაც მოვლენები უსწრაფესად ვითარდება. ზოგადად, ეს ნაწარმოები არის იდუმალებით მოცულ მკვლელობაზე და მასში უნებურად გარეულ მოგზაურზე, რომელსაც უბრალოდ ზაფხულის კარგად გატარება უნდოდა. თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ვისაც დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებები უყვარს ვურჩევ, რომ „ქვის ჯუნგლი“ წაიკითხონ, რადგანაც როგორი იდუმალი დასაწყისიც აქვს, ისეთივე იდუმალი ფინალი აქვს.

ნაწარმოების მთავარი გმირი, „ჰარი“ გამორჩეულია, არის ძალიან გამჭრიახი, კეთილი და ძლიერი პერსონაჟი. ადამიანებს მაშინაც კი ეხმარება, როცა იცის, რომ მას ღალატობენ. ხალხის გადარჩენისთვის ის ყოველთვის მზადაა და მცირედიც რომ გააჩნდეს იმასაც სხვას გაუზიარებს. ამასთან ერთად მას აქვს იდუმალი მხარეც, რომელსაც მწერალი შიგადაშიგ გვაცნობს.

ყველას ვურჩევ წაიკითხონ „ქვის ჯუნგლი,“ ასევე „დორიან გრეის პორტრეტი“ ან დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა.“

მიხარია რომ ვარ „წიგნის მოყვარულთა კლუბის წევრი.“ თვალს ვადევნებ გაზეთ „მეშახტეს“ და მიმაჩნია, რომ ამ კლუბის საშუალებით ბევრი ახალგაზრდა უფრო მეტად გათვითცნობიერდება და საინტერესო რჩევებსაც მიიღებს.

საყვარელი წიგნი: ჯეინ ოსტინის „სიამაყე და ცრურწმენა“

ამ წიგნმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მომწონს მისი სიუჟეტი და ის ეპოქა, რომელიც მასში არის ასახული. პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად ელიზაბეტი (ლიზი) მიყვარს, რადგან ძალიან ამაყი და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანია. რაც მთავარია, ძალიან ჭკვიანია და ყველაფერს ჭკვიანურად აკეთებს.

მამაჩემი მეშახტეა, თვალს ვადევნებ კლუბის საქმიანობას და სიამოვნებით ვხდები „წიგნის მოყვარულთა კლუბის“ წევრი. ეს არის ახალი გამოწვევა და შესაძლებლობა, რომ კიდევ ერთხელ შევდგა ფეხი ახალ პროექტში.

საყვარელი წიგნი: სოფო არდიას „გროსმაისტერი“

სახელის გამო ამ წიგნმა ჩემში თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში აღწერილია უამრავი საკითხი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებასთან არის კავშირში. მეგობრობა და სიყვარული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. მთავარი პერსონაჟი, სოფიკო, ჩემი ფავორიტი პერსონაჟია. ის იმდენად სრულყოფილად აწყობს საკუთარი გეგმებს, რომ ბოლოს, დაუჯერებელიც კი არის, რომ მკვლელობები მან ჩაიდინა. ძალიან საინტერესო წიგნია და გულგრილს არავის დატოვებს.

ჩემს თანატოლებს ვურჩევ წაიკითხონ რომანები, დეტექტივები და ნოდარ დუმბაძის შემოქმედება.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ისტორია და უნიკალური ექსპონატები



ტყიბულში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნამდე, შრომის დიდების მუზეუმი იყო, რომელსაც პახუმ ნანიკაშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ, გივი მიქიაშვილის ინიციატივით, საბრძოლო დიდების მუზეუმი დაარსდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარიდან ტყიბულში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნისთვის დაიწყო მზადება. მუზეუმის დაარსების მიზნით, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ერთობლივად მიმართეს მაშინდლემა პარტიის საქალაქო და აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ხელმძღვანელებმა გივი ფხაკაძემ და გრიგოლ ცნობილაძემ.

საძიებო და შეგროვებითი სამუშაოების პარალელურად, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები მუზეუმისთვის შერჩეულ შენობაში, რომელიც მაშინდელ ოქტომბრის 12 ნომერში, დღევანდლ კ.გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობდა. აქ ამჟამად ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმია.

მუზეუმის ჭედური კარი შემდეგში მუზეუმის მხატვარ-არქიტექტორმა, ამირან ხონელიძემ გააკეთა.

მუზეუმის გახსნის დროისთვის მოძიებულ იქნა 7996 ექსპონატი და ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1982 წლის 27 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა. დირექტორად ზურაბ წიტაიშვილი, ფონდების მცველად კი ბორის გაბრიაძე და ლალი ისაკაძე დაინიშნენ.

მუზეუმში 6 დარბაზი გაიხსნა, სადაც დიდი გემოვნებით გამოიფინა შეგროვებული ექსპონატები.

დარბაზის თემატიკა ასეთი იყო:

1. არქეოლოგია, გეოლოგია
2. კურსებ - გელათის ქვეყანა
3. ფეოდალური ეპოქა
4. ქვა-ნახშირის მრეწველობა
5. რევოლუცია და დიდი სამამულო ომი
6. სოციალიზმის ეპოქა

ამჟამად მუზეუმში დაცულია 18 ათასზე მეტი ექსპონატი, სადაც ყველაზე ძველი არტეფაქტები დაახლოებით 350 მილიონი წლის გაქვავებული ნიჟარები და მცენარეებია.

დღეისათვის, მუზეუმში ფუნქციობს მხოლოდ ერთი დარბაზი, სადაც სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ფონდებში დაცული ექსპონატები. სხვა დარბაზები საჭიროებს კაპიტალურ რემონტს და გამოფენისთვის საჭირო სპეციალურ ინვენტარს.

ამჟამად, ერთადერთ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია არქეოლოგიის, გეოლოგიის, ეთნოგრაფიის ამსახველი ექსპონატები და მხატვრული ტილოები.

მუზეუმში განსაკუთრებული სიყვარულით არის წარმოდგენილი ექსპონატები, რომლებიც ასახავენ მეშახტეების საქმიანობას და ყოფა-ცხოვრებას. დაცულია მეოცე საუკუნიდან დღემდე არსებული სამუშაო იარაღები და ტექნიკური უსაფრთხოების საშუალებები. ამ დროისთვის, მუზეუმში ოთხი სპეციალისტი მუშაობს.

ტყიბულის მხარეტმცოდნეობის მუზეუმის ადმინისტრაციის ინფორმაცია

ტყიბულში ბავშვთა დაცვის დღე აღინიშნა!

„საქნახშირის ორგანიზებითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების მხარდაჭერით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ტყიბულს ცნობილი ქართველი მწერალი, ბესო ხვედელიძე ესტუმრა.

ბესო ხვედელიძე „საქნახშირის“ “წიგნის მოყვარულთა კლუბის” წევრ ბავშვებს შეხვდა, საკუთარი შემოქმედება გააცნო და ნეპალში ცხოვრების შესახებ უამბო. შეხვედრის მონაწილეებს მან საჩუქრად წიგნები გადასცა. მისივე ინიციატივით, ტყიბულში მოგზაურობას დაიწყებს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრიცი“ რომელიც მწერალმა ერთერთ სტუმარს იმ პირობით გადასცა, რომ წაკითხვის შემდეგ სხვას ათხოვებს. „პატარა პრინცი“ ტყიბულში მომავალი წლის 1 ივნისამდე იმოგზაურებს. 2022 წლის 1 ივნისს კი ბესო ხვედელიძე კვლავ შეხვდება ბავშვებს და მათ შთაბეჭდილებებს მოისმენს.

„წიგნის მოყვარულთა კლუბის“ წევრ ბავშვებს „საქნახშირმა“ „ბიბლუსის“ ვაუჩერები გადასცა, ასევე მადლობა გადაუხადა იმ საინტერესო წერილებისთვის და რეკომენდაციებისთვის, რომლებსაც ისინი ყოველთვიურად გაზეთ „მეშახტეში“ აქვეყნებენ.

ღონისძიება შოთა რუსთაველის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურულ სალონში გაიმართა და “წიგნის მოყვარულთა კლუბის” წევრების გარდა სხვა სტუმრებიც ესწრებოდნენ. ბავშვთა დაცვის დღე და ნინოობა ბავშვებს ტყიბულის საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნატალია კობახიძემაც მიულოცა.

600-მდე ბავშვს კომპანია „ტყიბულის მთის ჩაი“ ნაყინით გაუმასპინძლდა!

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე

მაისი | 2021 | №9

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri